სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

22 იანვარი, 2024 წ.

აკადემიური საბჭოს
დადგენილება № 06-01/04

,,ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების ბსუ-ში ჩარიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2023 წლის 05 სექტემბრის №06-01/99 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის, ,,საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა და საფასურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N98/ნ ბრძანების საფუძველზე, ,,უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის N224/ნ ბრძანების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 17 ივლისის N04 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 17 ნოემბრის N07-01/55 გადაწყვეტილების, აკადემიური საბჭოს რეგლამენტის (N81, 23.09.2016წ.) და აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმის (№06-02/01, 22.01.2024) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დაადგინა:

1. ,,ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების ბსუ-ში ჩარიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2023 წლის 05 სექტემბრის №06-01/99 დადგენილებაში შევიდეს ცვლილებები, კერძოდ, დადგენილების **N1 დანართის (წესის):**

ა) პირველი მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,5. ბსუ-ში სწავლის მსურველის ჩარიცხვასთან დაკავშირებული პროცედურებს

წარმართავს და კოორდინაციას უწევს ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი, ბსუ-ს შესაბამისი პროგრამის განმახორციელებელ ფაკულტეტთან, ასევე ბსუ-ს დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებთან (სასწავლო პროცესის დეპარტამენტი, იურიდიული დეპარტამენტი, საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტი) თანამშრომლობით.";

ბ) მე-2 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,5. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პირებს უფლება აქვთ განცხადებით მიმართონ აგრეთვე საქართველოს განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს (შემდეგში – სამინისტრო).".

გ) მე-5 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. ბსუ-ში სწავლის მსურველის განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია განხილვის მიზნით გადაეცემა ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს, რომელიც ვაკანტური ადგილების არსებობის შესახებ შესაბამისი ფაკულტეტიდან მოწოდებული ინფორმაციის გათვალისწინებით უზრუნველყოფს ბსუ-ში სწავლის მსურველი პირის ბსუ-ში ჩარიცხვის შესაძლებლობის თაობაზე ბსუ-ს რექტორის წერილობითი თანხმობის მომზადებისა და გაცემის პროცესის ორგანიზებას. დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვან პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველის განცხადების საფუძველზე რექტორის წერილობითი თანხმობის მომზადებისა და გაცემის ორგანიზებას ახდენს ბსუ-ს დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი პროგრამის მართვის ცენტრი.";

დ) მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. ბსუ-ს პროგრამაზე დაშვების წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში პროგრამის განმახორციელებელი ფაკულტეტის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი ამზადებს უნივერსიტეტის რექტორის წერილობით თანხმობას სტუდენტთა საერთო რაოდენობის ფარგლებში არსებულ ვაკანტურ ადგილზე პირის მიღების შესაძლებლობის თაობაზე (ვიზირებული უნდა იქნეს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსისა და რექტორის მოადგილის მიერ). დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვან პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველისათვის გაცემული რექტორის წერილობითი თანხმობა უნდა მომზადდეს ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი პროგრამის მართვის ცენტრის მიერ.";

ე) მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,3. უნივერსიტეტის რექტორის წერილობითი თანხმობა, წინამდებარე წესში აღნიშნულ დოკუმენტაციასთან ერთად, ბსუ-ში სწავლის მსურველის (აპლიკანტის) მიერ წარედგინება საჯარო სამართლის იურიდიულ პირი – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს/ სამინისტროს.".

ვ) მე-7 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. ბსუ-ს რექტორის წერილობითი თანხმობის გაცემის შემდეგ ცენტრში/სამინისტროში წარდგენილი ბსუ-ში სწავლის მსურველის განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში სამინისტრო გამოსცემს ბრძანებას ამ პირისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ბსუ-ში ჩარიცხვის უფლების მოპოვების თაობაზე, რომელიც ეგზავნება უნივერსიტეტს.“.

ზ) მე-7 მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,8. შესაბამისი ფაკულტეტის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე ბსუ-ში ჩარიცხვის შესახებ სამართლებრივ აქტს ამზადებს ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი (გარდა ,,დიპლომირებული მედიკოსის“ ინგლისურენოვან პროგრამაზე ჩარიცხვის ბრძანების პროექტისა, რომელიც მზადდება შესაბამისი ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულის მიერ). ბსუ-ში ჩარიცხვის ბრძანება გამოიცემა იმის გათვალისწინებით, რომ უზრუნველყოფილი იქნეს პირის/სტუდენტის ჩართვა სასწავლო პროცესში და სწავლის შედეგების მიღწევა.“.

2. წინამდებარე დადგენილება და ,,ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების ბსუ-ში ჩარიცხვის წესი კოდიფიცირებული ვერსია გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

3. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ბსუ-ს ფაკულტეტებს, ბსუ-ს დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი პროგრამის მართვის ცენტრს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს.

4. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**